№ 81
ხუთშაბათი, 18 აპრილი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

	თვე კ.		მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

№ 81
ხუთშაბათი, 18 აპრილი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაგარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდ
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხე ხეზედ—5 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

1 აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“

ღირს **რვა მანეთად** (8 მ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ზორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“. ტელეფონი № 227.

კახური ღვინოები.
მთავარმა კანტორამ
დ. ზ. სარაჯიშვილისამ
ტფილისში

1902 წლის 4 აპრილიდგან დაიწყო ქ. ტფილისში ვაჭრობა

მხოლოდ კახურის ღვინოებით

ფასები—ბოთლი 30 კაპეიკიდგან, ვედრო 4 მანეთიდგან. ნარდ და მუდმივ მყიდველებს ღვინო დაკლებულ ფასად დაეთმობათ. ვინც 10 ბოთლზედ არა ნაკლებ დაიკვეთავს, იმას კანტორა სახლში გაუგზავნის ღვინოს.

ღვინო გაიყიდება საკუთარის (კახეთი, სოფ. ბაკურციხე) და კახელ მემამულეთა საუკეთესო ვენახებისა: ღვინოებზედ თვალ-ყური ეჭირება და საზოგადოდ ამ საქმეს გაუძღვება სპეციალისტი, გამოცდილი მეღვინე.

ღვინო გაიყიდება:

ტფილისში: 1) საწყობთან (გოლოვინის პროსპ. დ. დობრჟანსკის სახლი, სახაზინო თეატრის პირდაპირ), 2) დეპოში № 1 (სასახლის ქ., საკუთ. სახ.), 3) დეპოში № 2 (ვორონცოვის მეიდ., ს. ნარიმანოვისა) და 4) ტფილისის საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

ბაქოში: საკუთარ საწყობში. (5—324—5)

მზითევის დაზღვევა.

დამზღვევ საზოგადოებამ **„რუსეთმა“** გადაიხადა დაზღვეულ ქალთა სამზითვოდ

1888 წლიდგან	1892 წლამდე	108	ახალგაზრ. ქალთათვის	226,100	მან.
1893 „	1895 „	326	„	710,600	„
1896 „	1898 „	822	„	1.694,300	„
1899 „	1901 „	1.562	„	3.087,300	„

1 იან. 1902 წ. დაზღვეულია სამზითვო 29,742 ახალგაზრდა ქალისთვის 50.311,300 მ.

დაზღვევის სურვილის განცხადებას იღებენ და ყოველგვარ ცნობებს იძლევიან გამგეობაში ს.-პეტერბურგში (Большая Морская, собст. д. № 37.). ტფილისის განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა, სახ. № 6) და საზოგადოების აგენტებისაგან რუსეთის იმპერიის ყველა ქალაქებში. (4—334—2)

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 აპრილს,
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
✦ დაკლებულის ფასებით ✦

კონსტანტინე ბატონიშვილი
(ქეთევან წამებული)

ისტ. დრ. 5 მოქ. და 6 სურ. ალექსანდრე ყაზბეგისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანდრონიკაშვილისა, კარგარეთელი, სარიძე და სხვ. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, რომანიშვილი, ივანიძე, იორდანოვი და სხვ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი დაკლებულია.

რეჟისორი ვალ. გუნია.

მზადდება: „მსხვერპლი მსხვერპლისათვის“ და „გულჯავარ“.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. ბძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. 7—$7^1/_2$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ხტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.)

ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი

(მისის ოც და ათის წლის საპროფესორო და სამეცნიერო მოღვაწეობის გამო)

პეტერბურგისა და მოსკოვის გაზეთებში აღნიშნულია, რომ ჩვენს თანამემამულეს ბ-ნს ალ. ცაგარელს 9 აპრილს შესრულდა 30 წელიწადი საპროფესორო მოღვაწეობისა.

პროფესორმა ალ. ცაგარელმა დაიჭირა კათედრა ქართულის ენისა პეტერბურგის უნივერსიტეტში დ. ი. ჩუბინაშვილის შემდეგ, რომელმაც მოხუცების გამო თავი დაანება პროფესორობას და მას უკან, აგერ ოც და ათი წელიწადია, მხნედ და თავ-გამოდებით ემსახურება ქართულის ენისა და სიტყვიერების სამეცნიერო ინტერესებსა. ჯერ ისევ პროფესორობამდე ალ. ცაგარელი იღებდა მონაწილეობას ჩვენს მწერლობაში. მისი წერილები იბეჭდებოდა გაზ. „დროებაში“ 1867—68 წ.წ. პროფესორობაში ბ-ნ ცაგარლის ნაწერები და გამოკვლევანი იბეჭდებოდა საერო განათლების ჟურნალში და ცალკე წიგნებად. თვისის ერთის თხზულებისათვის „О грамматической литературѣ грузинскаго языка“ ბ-ნს ცაგარელს, ჯერ ისევ ახალგაზდა მწაველულს, მიუსაჯა უნივერსიტეტის საბჭომ ხარისხი მაგისტრისა სამოც და ათიანს წლებში, ხოლო 1881 წელს იმავე საბჭოსაგან მიესაჯა ხარისხი ქართულის ენის დოქტორობისა თხზულებისათვის „Мингрельскіе этюды“. ამ თხზულების საგანი იყო დამტკიცება იმისი, რომ ქართულის ენის პირველ სახის გამორკვევა შეიძლება მხოლოდ ქართულის ენის დღევანდელ იდიომების შესწავლითაო. ასეთ იდიომებად უნდა მივიჩნიოთ: მეგრული, ლაზური, ანუ ჭანური და სვანური. რაც ქართულსა და ამ იდიომებში საერთოა, ის უნდა გამოირკვეს, გამოცალკევდეს და იმის აგებულებას, გრამატიკას უნდა ჩავუკვირდეთ, თუ გვინდა მივხვდეთ, ენათა რომელ ჯგუფს ეკუთვნის ქართულიო.

ამ მხრივ შესანიშნავია წერილი ჩვენის პროფესორისა „О Морѳологіи грузинскаго языка“.

სალინგვისტიკო შრომის გარდა, ბ-ნს ცაგარელს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ძველის ლიტერატურის კვლევა-ძიების წინაშეც. ამ მხრივ საყურადღებოა მისი თხზულება „Памятники грузинской письменности“, სამ წიგნად დაბეჭდილი. ამ წიგნებში აღნიშნულია ის აუარებელი მასალა, რომელიც დარჩა ქართველობას ძველის ხელთ-ნაწერების სახით და რომელიც გაფანტულია სხვა-და-სხვა მონასტრებსა და სიძველეთ-საცავებში რუსეთსა და საზღვარ-გარედ. მესამე წიგნს, რომელშიაც პროფესორი არკვევს დ. ჩუბინაშვილის შესანიშნავს ბიბლიოთეკას, წინ უძღვის ფრიად საყურადღებო წინასიტყვაობა ჩუბინაშვილის ბიოგრაფიის შესახებ და გარკვეულია თან ისტორია ქართულის ენისა და სიტყვიერების ბედისა პეტერბურგის უნივერსიტეტსა და სამეცნიერო აკადემიაში. ამ გვარსავე თხზულებათა დარგს ეკუთვნის წიგნი პროფესორისა «Памятники грузинской старины въ Св. землѣ и на Синаѣ» და ის საისტორიო-სალიტერატურო ცნობანი, რომელიც ჩართული აქვს მის-მიერ დაბეჭდილს წიგნს, რუსულად ნათარგმნს საბა სულხან ორბელიანის იგავ-არაკებისას. შესანიშნავია აგრეთვე ის აუარებელი საისტორიო საბუთები, რომელიც ამ უკანასკნელ სამ-ოთხს წელიწადში დაჰბეჭდა ცაგარელმა ორ დიდ წიგნად ამ სათაურით: Грамоты и другіе историческіе документы XVIII вѣка, относящіеся къ Грузіи. პირველ წიგნშია მოთავსებული რუსულად დაწერილი საბუთები, ხოლო მეორეში—ქართულად დაწერილები. ეს წიგნები ძვირფასი მასალაა და სახელმძღვანელო ყველასთვის, ვინც-კი ჩვენის ქვეყნის ისტორიის შესწავლას მოისურვებს იმ დროისას, როდესაც საქართველომ დაჰკარგა თვისი დამოუკიდებელი არსებობა.

აი ასეთია სამეცნიერო ღვაწლი ქართულის ლინგვისტიკისა, ისტორიისა და ლიტერატურის წინაშე იმ კაცისა, რომელსაც წელს შეუსრულდა 30 წელიწადი საპროფესორო მოღვაწეობისა. მარტო პროფესორობა და ლექციების კითხვა ქართულის ენისა და ლიტერატურის შესახებ ამოდენა ხნის განმავლობაში საკმაო დამსახურებაა თავის-თავად. ხოლო იმოდენა მრავალ-კაბადოვან თხზულებათა წერა და ბეჭდვა, რაც ჩვენ ზემორე აღვნიშნეთ, დიდი ამაგია, ნამდვილი მამულის-შვილური ღვაწლია, ისეთი ღვაწლი, რომელსაც დიდის თანაგრძნობით უნდა მიეგებოს ყოველი შეგნებული ქართველი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მწერლობა და საზოგადოება ღირსეულად დააფასებს მეცნიერს მუშაკს, რომელმაც 30 წელიწადი გაატარა საპროფესორო მოძღვრებაში და 35 წელიწადია თავ-გამოდებით ემსახურება ჩვენის ისტორიისა და ლიტერატურის სამეცნიერო კვლევა-ძიების საქმეს.

ახალი ამბავი

✦ შაბათს, 20 აპრილს, ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი კირიონი სიონის ტაძარში გარდაიხდის წირვასა და პანაშვიდს ნეტარ-ხსენებულის გივი ამილახვრის (1723—1754 წ.) სულის მოსახსენებლად ამავე ტაძრის კრებულისა და სხ. სამღვდელოთა თანამწირველობით. როგორც ვიცით, გივი ამილახვარმა გადაარჩინა სიონის ტაძარი ოსმალთაგან მეჩეთად გადაქცევასა და საქართველოს ეკკლესიამ დააწესა მაშინვე ეს დღე მის მოსახსენებლად. ამ ჟამად მისი მეუფება, ეპისკოპოსი კირიონი იმყოფება შუა-მთის მონასტერში, საცა უნდა ჩააბაროს ცალკე კომისიას, როგორც ამ მონასტრის, ისე ალავერდისა და თეთრ-გიორგის ეკკლესიის ქონება.

✦ 9 აპრილს 30 წელიწადი შესრულდა, რაც ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორადაა.

✦ დღეს, 18 აპრილს, ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კერძო კრება მოხდება გამგეობის მეოთხე წევრის თანამდებობაზედ კანდიდატის ამოსარჩევად. კანდიდატებად, სხვათა შორის, ასახელებენ საბჭოს მდივანს ს. თ. ჰრელაშვილს, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს გ. ნ. სტეფანოვს და სხვებს.

✦ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამას წინად დაარსდა ქალთა ამხანაგობა „თამარი“. მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს ი. ს. მედვედევს ნება მიუცია ამ ამხანაგობას კავკ. საბრეშუმო სადგურიდგან 50%-თ დაეთმოს აბრეშუმის თესლი 300 მისხალი, 2,000 თუთის ნერგი და 2 გირვანქა თუთის თესლი. ამხანაგობას აზრადა აქვს თესლი და ნერგები უსასყიდლოდ დაურიგოს გორის მაზრის მცხოვრებთ.

✦ აპრილის სიცივეებმა, „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, დიდად დააზიანა ვენახები და ბაღები გორის მაზრის ზოგიერთ სოფელში: უფრო დაზარალდნენ შემდეგი სოფლები: მეტეხი, ბარნაბიანი, სასირეთი, გრაკალი, ყარაღაჯი, ხოვლე, დოესი და სხვანი.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან უკვე მიუღიათ ტეხნიკური პროექტი ქალაქ ტფილისის ელექტრონით განათებისა. სამინისტროს ზოგიერთი ცვლილებანი უცვნია საჭიროდ პროექტში.

✦ შუამდგომლობაა აღძრული ერევანში სახელოსნო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

✦ სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხეში დაარსდა ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველი კასსა.

✦ ფინანსთა სამინისტროს საგანგებო საქმეთა მოხელე ს. ო. გულიშამბაროვი მთავრობას ამერიკაში გაუგზავნია ნავთის წარმოების საქმის გასაცნობად. ამ ჟამად ბ-ნი გულიშამბაროვი ქალაქ სან-ფრანცისკოშია.

✦ 1 ივლისიდგან აზრადა აქვთ გაადიდონ იმ მოხელეთა შტატი კავკასიაში, რომელსაც სახელმწიფო გლეხთა მოწყობის საქმენი აქვს მინდობილი. მთავრობამ ამ მოხელეთათვის სამის თვის საკმაო ფული გადასდო.

✦ გაზეთების სიტყვით, ტფილისში აპირებს თურმე ჩამოსვლას პარიჟში არსებულ პასტერის ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი მეცნიერი მეჩნიკოვი.

✦ წელს ტფილისში მეტად ძვირად იყიდება ყურძენი, გირვანქა 80 კაპ., თუმცა ამავე დროს ყირიმში გირვანქა ყურძენი 10 კაპეიკზედ მეტად არა ფასობს. ერთს ვაჭარს ყირიმიდგან დიდ-ძალი ყურძენი დაუბარებია და აქ 50—60 კაპეიკად გაუყიდნია. საკვირველია, რომ ჩვენში, ყურძნის სამშობლოში, ასე ძვირად იყიდება იგი.

✦ პრივატ-დოცენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა და დოცენტი ქართულის ენისა ლაზარევის ინსტიტუტში ბ-ნი ალ. ხახანაშვილი, როგორც სწერს გაზ. „Рус Вѣд.“-ი, გაუმწესებიათ-რა გარეშე საქმეთა სამინისტროს უწყების სამსახურში, ჩაურიცხავთ ამ სამინისტროს მოსკოვის მთავარ-არქივში და ამასთანავე დაუტოვებიათ უწინდელსავე ხარისხსა და თანამდებობაში.

✦ **გორი:** 15 აპრილს, აღდგომის მეორე დღეს, გორის ქუჩებში ჩვეულებრივზედ მეტი მოძრაობა იყო. მოგეხსენებათ, აქ არავითარი გასართობი არ მოიპოვება, ამიტომ ხალხი სეირნობით ერთობოდა. სეირნობდნენ ეტლით, ცხენით და ფეხით ეგრეთ წოდებულს „სამეფო ქუჩაზედ“, რომელიც სანაქებოდ არის მოწყობილი: იქვე ბაღის „ნაშთთან“ ერთი უშველებელი, მეწამულის ზღვის შინაგვარი ჭუმპა; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ შიგ ჩავარდნილი ცხოველი მყის არა კვდება, ხოლო თათარაში ამოვლებულს ჩურჩხელის ემსგავსება. ზევრგან ქვა და ქვიშაა დაგროვილი. ზოგან... მაგრამ ეს კმარა დასახასიათებლად.

აი, ამ სეირნობის დროს, გაუფრთხილებლობის გამო, დაეჯახა ეტლს ცხენზედ მჯდომი 16 წლ. თოროზოვი, გადმოვარდა ცხენიდგან და გაისმა გულ-საკლავი კვნესა. ხალხი შეჩოჩქოლდა, მაგრამ ყველა პირ-დაღებული შესცქეროდა.

✦ **ს. ნებითი-ქრისტიანი** (კავკავის მაზრა): ცხრას ამ თვეს, საღამოთი, როცა ცა მოჭედილი იყო ვარსკვლავებით, ასტყდა თოფის სროლა და ხმაურობა სოფელში. თოფის სროლის მიზეზი ის იყო, რომ მთვარე დაბნელდა. მთვარეს სულ წითელი ზეწარი ჰქონდა გადაკრული და ძრიელ პატარა სჩანდა. რვა საათიდგან დაწყობილი თერთმეტ საათის ნახევარზედ დაიწყო მთვარემ გადაწმენდა და თერთმეტ საათს დასრულდა და სულ ერთიანად გადიწმინდა. ოსები ამბობენ, თოფებს იმიტომ ვისვრით, რომ მთვარეს გველ-ვეშაპი დაიჭერს ხოლმე და თოფის ხმაზედ შე-

შინდება და გაანთავისუფლებს მთვარესაო.

◆ **ყიზლიარი** (თერგის ოლქი): მარტის 25-მ აპრილის 10-მდე დაიწყო ქართულ-ლეკურმა ცხვარმა საზამთრო ბინებიდგან (ყიზლარის განყოფილებიდგან) თავიანთ თოვლიან მთებისაკენ გამგზავრება. ცხვრები ღვთის მადლით კარგად გაიკვება, ნაშენი და მატყლიც კარგად გაიყიდა, თუმცა შემოდგომის სიხმელის გამო ცხვრის გადარჩენის იმედი ძალიან მცირე იყო. ღმერთი და ბუნება მეცხვარეებს ცოტად თუ ბევრად მაინც აკმაყოფილებს და ჯაფის დაგვარად აჯილდოვებს, მაგრამ სამწუხაროდ ჩაჩან-ქისტები ქურდობით, ჩარჩები მატყლის ფასის დამცირებით და მემამულე რუსის ყაზახები გზებზედ ყვლეფა-გლეჯით ძალიან აწუხებენ. გზების გაგანიერებას, საძოვრების მომატებას დაგვპირდნენ, მაგრამ ჯერაც აღსრულება არა სჩანს.

იმერეთის ამბები.

◆ რაჭის მაზრის სოფელ სომიწოში 7 მარტიდგან დაწყობილი თითქმის ყოველ დღე მიწვის-ძვრაა თურმე. „კავ.“-ს სიტყვით, მცხოვრებნი ისე შეშინებულან, რომ ბევრს გადასახლებაც-კი განუზრახავს. ზოგან მიწა დახეთქილა, აქა-იქ სახლებიც დაუზიანებია.

◆ მკითხველებმა უკვე უწყიან ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში მომხდარი ამბავი 6 აპრილს, როდესაც ადგილობრივმა პოლიცმეისტერმა აღკრძალა სალიტერატურო-სამუსიკო საღამო. ამის გამო, როგორც ,,არგონავტი‘‘ გადმოგვცემს, თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. ლორთქიფანიძეს, ქალაქის მოურავს დ. ა. ლორთქიფანიძეს და სასკოლო კომიტეტის თავმჯდომარეს დ. ნ. ბაქრაძეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის მიუმართავთ და უთხოვნიათ ყურადღება მიაქციოს პოლიცმეისტერის ლისოვსკის საქციელს. თავის მხრივ სკოლის ინსპექტორს ბ-ნ ოცხელს საჩივარი აღუძრავს ბ-ნ ლისოვსკის წინააღმდეგ.

◆ 7 აპრილს ქუთაისის ოლქის სასამართლოს შენობაში წლიური კრება ჰქონიათ ადგილობრივ ნაფიცს ვექილებს. სხვა-და-სხვა საქმის განხილვისა, ანგარიშისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ კრებას აურჩევია ნაფიც ვექილთა კომსიის წევრნი. ერთხმად არჩეულ იქმნენ წინანდელივენი: თავმჯდომარედ მ. ა. ქიქოძე, თავმჯდომარის ამხანაგად დ. ვ. კვირკველია, წევრებად: თავ. მ. გ. ფალავა, ა. ს. საყვარელიძე და დ. ვ. ხელთუფლიშვილი.

◆ აზრად აქვთ თურმე ქუთაისში ტფილისის საკომერციო ბანკის განყოფილება დააარსონ.

◆ **ს. ხიდისთავი** (გურია): ორი სასარგებლო კაცი მოაკლდა ჩვენს სოფელს ამ ხანებში: 21 მარტს გარდაიცვალა აქაური მღვდელი ს. კალანდაძე, 9 აპრილს გარდაიცვალა კიდევ მისი ძმა გერონტი.

◆ **იქიდამვე**: ძლივს ჩვენის სოფლის სამკითხველოსთვის დაიწყეს სახლის აშენება. ერთმა ჩვენებურმა, ბ-ნმა ს. კ—ძემ შესწირა შენობისათვის ასი ბოჩკა ცემენტი და 40 მ. ფულად. ცემენტი ღირს 500 მან., 500 მან. ბიბლიოთეკას თავისი ჰქონდა. სამკითხველოსა და თეატრის შენობა დაჯდება სულ 4,000 მან.

◆ **იქიდამვე**: საცა ბაზარია, იქ მეტისმეტი უსუფთაობაა. კაცს არ გაევლება დუქნების წინ, ისეთი სიბინძურეა. ამას წინად ექიმმა და ბოქაულმა დაიარეს აქაური დუქან-ბაზარი და ზოგიერთი მედუქნე დააჯარიმეს უსუფთაობისათვის. ჩვენი ხიდი ძალიან ცუდს ყოფაშია, სულ მინგრეულ-მონგრეულია. აბრეშუმის ჭიის თესლს ძალიან ნაკლებად ჰყიდულობს წელს ხალხი, თუმცა გასაყიდი ბევრია ოზურგეთის ამხანაგობისა.

დაბა და სოფელი

ს. ბოლნისი (ბორჩალოს მაზრა). კახეთისენი, ეკკლესიების გაქურდვა, აქეთაც მოედო. მარტის დამლევს ღვთის-მშობლის ეკკლესია გაქურდეს ღამე სოფელ ბოლნისში. წაიღეს წმ. ვერცხლის ბარძიმი, რომელიც 1862 წელს იყო შემოწირული ქუთაისის გუბერნატორის ბ. ივანოვისაგან, ერთი მანეთის სანთლის ფული, ერთიც ოქროს ქინძისთავი პატარა და გატეხეს ყულაბა, სასულიერო წოდების ობოლთათვის დადგმული. ხმა დადის, რომ ეკკლესია მტრობითაა გაძარცული. საქმე სწარმოებს. ღვთის შიშით ბოლნისის ქართველმა და სომეხმა ერმა დაკარგულ ბარძიმის ნაცვლად მეოთხე დღესვე შესწირეს 25 მანეთი, რომლითაც ეკკლესიამ შეიძინა ახალი ბარძიმი.

აქამომდე ხეხილი და ვაზი ჰყვავოდა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ამ თვის 6-დამ 9-მდე თოვლ-ჭყაპი იყო, ღამე სიცივეებს იჭერდა ჹ კოკორი სულ გააყრევინა. ამან დაალონა ქართველები და ნემცები, მოშავრის ხეობაზე მცხოვრებნი, თუმცა ამბობენ, ავდრობა პურსა, ქერსა და ბალახს მოუხდაო.

ჩათახის ლუდის ქარხანა ეკატერინენფელდში გადიტანეს, სადაც მრავალი სხვა ზავოდებია: ყველისა, ლიმონადისა, არყისა და ღვინისა.

ნ ა რ კ ვ ე ვ ი.

გაზეთებს იესო ქრისტე წელიწადში ორჯელ მოაგონდებათ ხოლმე, ოფიციალურად: შობის დღეს და აღდგომას. მაშინ იწამებენ ხოლმე ჯვარცმულის ღვთის მცნებას, აღევსებათ გული კაცთ-მოყვარეობითა, აღახვენენ ბაგეთა და იწყებენ ზე-შთაგონებულს დაღადისს.

> ალარ არის დღეს არც ღვარძლი, არცა შური და არცა მძულვარება,—ამბობს «არგონავტი»,—ადამიანნი ერთმანერთს ეხვევიან და ეამბორებიან, თითქო ახლად იშვნენ უკეთესის და აქამომდე მათთვის უცნობ ცხოვრებისათვისაო... ნეტავი მუდამ ასე იყოს, როგორც დღეს, ნეტავი ადამიანს მუდამ ახსოვდეს დიდი მცნება მკვდრეთით აღდგომილის ქრისტესი „გიყვარდეთ ერთმანერთიო!“

თუ „არგონავტისათვის“ მუდმივი ძმობა და სიყვარული ჯერ მიუწდომელი ნატვრაა, „ჩერნომორსკი ვესტნიკს“ მშვიდობის და ძმობის სუფევა უკვე მოახლოვებული ჰგონია:

> ქრისტიანობაში უფრო და უფრო მატულობს რიცხვი მშვიდობის და ძმურის სიყვარულის მოციქულთა და მათ მოთავედ სდგას თვით-მპყრობელი უდიდესისა და ძლიერის სახელმწიფოისა. იმედია, რომ მოახლოვდა ის დრო, როცა ერნი შემუსრავენ თავიანთ იარაღსა და დაჰყრიან მის ნატეხებს იმ ჯვარის წინ, რომლითგანაც მოისმა ოდესღაც შენდობის სიტყვა.

სიყვარულის და შენდობის უდიდესმა დღესასწაულმა იმედის ფრთები შეასხა „კვალსაც“:

> და აი დღევანდელ დღეს, ჩვენ ვდღესასწაულობთ მკვდრეთით აღდგომას წამებული იესოსი, გამარჯვებას სამართლიანობის ხმისა, დამარცხებას ყოველივე იმისა, რაიც წინაღმდეგია „კაცთა შორის სათნოების და სიყვარულის დამკვიდრებისა“. მაშ მოგილოცავთ, თქვენც, ძმანო ჩემნო, ამ ბრწყინვალე დღესასწაულს, დეე მან ჩაუშვას (?) გულსა შინა თქვენსა შუქი სიყვარულისა, სამართლიანობისა, სისწორისა, და ზიზღი ყოველივე მისადმი, რაც-კი წინ გადაეღობება მცნებას ძისა ღვთისასა, რომელიც ბოლგოთის ჯვარიდან გვეუბნება ჩვენ: „მოვედინ ჩემთან დამაშვრალნო და ტვირთ მძიმენო და მე განგისვენოთ თქვენ“.

ვერ მოღბა მხოლოდ „ცნობის ფურცლის“ გული, რომელიც „ცოდვილთა“ მიმართ, ძმურის მილოცვის ნაცვლად, ასეთს მკაცრს სიტყვებს ისვრის:

> თქვენ მოგილოცოთ მისი აღდგომა და გიკვლიოთ წითელი კვერცხი? თქვენ? და თქვენ გრწამთ განა იგი, აღიარებთ მის მცნებას, თაყვანს სცემთ მას?..
>
> არა, თქვენ არ გრწამთ ქრისტე, არ აღიარებთ მისს მცნებას, თაყვანს არა სცემთ მას!
>
> იგი არ არის თქვენი ღმერთი, თქვენთვის არ მოსულა იგი! მე თქვენ ვერ გეტყვით: ქრისტე აღსდგა!...
>
> თქვენ მტერი ხართ ქრისტესი! თქვენი ღმერთი ბელზებულია! თქვენ იროდთან ხართ, თქვენი მოკავშირე იუდაა!
>
> და თქვენ მოგილოცოთ ქრისტეს აღდგომა?
>
> არა, შორს ჩვენგან! არა, მე თქვენ არ გეტყვით: ქრისტე აღსდგა! იუდამ (?) გეამბოროთ და მოგილოცოთ თქვენ!
>
> არა, თქვენ დაგსძლევთ გალილეველი, და მაშინ ვიტყვი მე: ქრისტე აღსდგა!

ის „თქვენ“ რომ „ცოდვილნი“ არიან... ვინ-დაა ეს „მე“, რომელმაც ისე შეიყვარა ღმერთი ყოვლითა გულითა, ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თვისითა, ხომ ცოდვილთ ვეღარ იკარებს? ის ხომ არ არის, რომელიც სახარებისამებრ, ოდესღაც იძახდა: “ღმერთო! გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხვანი კაცნი, მტაცებელ, ცრუ და მემრუშე, განა ვითარცა ესე მეზვერე“...

კარგია, როცა გაზეთი ისე მტკიცედ სდგას თავისს „მიმართულებაზედ“, რომ დღესასწაულის გულისათვისაც არა ჰღალატობს.

რ უ ს ე თ ი

— პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო საბჭოს წარედგინება კანონ-პროექტი, რომ ძალდატანებით უწამლონ ხოლმე ალკოგოლიკებს.

— სამკურნალო დეპარტამენტში შეუმუშავებიათ პროექტი ახალის წეს-რიგისა საათფთიაქო მაღაზიაში ვაჭრობისათვის. განზრახვა აქვთ ვაჭრობის ნება მისცენ მხოლოდ ფარმაცევტებს, რათა საათფთიაქო მაღაზიები ჰქვანდნენ აფთიაქებსა.

— გზათა უწყებას განზრახვა აქვს განაკარგოს რკინის გზის მოხელეთა, მეტადრე მდაბიო მოხელეთა ყოფა-ცხოვრება. უპირველეს ყოვლისა ჰფიქრობენ განიხილონ საქმე ჯამაგირების რაოდენობისა, მერე უნდათ მოსპონ ის გარემოებანი, რომელთა ძალითაც მეტისმეტად იღლებიან მოხელენი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რკინის გზებზედ უბედურ შემთხვევათა საქმეში. ამას გარდა, განზრახვა აქვთ სხვა-და-სხვა ღონისძიება იქმნას მიღებული, რომ გაუადვილდეთ ცხოვრება რკინის გზის მოხელეთა და მათს ცოლ-შვილს, რომელთაც ძლიერ უჭირთ, რა-კი ასე მეტისმეტად ძვირდება ყოველივე პირველ საჭიროების სანოვაგე. ასეთ ღონისძიებათ მიჩნეულია მომხმარებელნი და გამსესხებელ-შემნახველნი ამხანაგობანი მთავრობის სუბსიდიით, შეწეობა ბინის დაჭერის საქმეში, წამლობა ავადმყოფ მოხელეთა რკინისგზის ხარჯით, დახმარება შვილების აღზრდისათვის, დაზღვევა სიცოცხლისა ანუ შემოსავლისა და სხ.

— 9 აპრილს გელსინგფორსში გამოქვეყნებულ იქმნა შემდეგი განცხადება ნიულანდის გუბერნატორის გენერალ-მაიორის კაიგოროდოვისა: „ამ უკანასკნელ დღეებში ხალხმა უწესოება მოახდინა ქუჩებში. მთავრობა იძულებული იყო ჯარი გამოეწვია უწესოების მოსასპობად. ჯარს ნება აქვს ამისთანა შემთხვევაში თოფის სროლით გაჰფანტოს მეამბოხენი, ხოლო ეხლანდელი თოფი ისეთია, რომ მის ხმარებით საშინელი უბედურება დატრიალდება და აუარებელი ხალხი გაიწყვიტება. ამისთანა ტყუილ-უბრალო სისხლის ღვრის ასაცილებლად მოვიწვევ მოქალაქეთ და ვსთხოვ, არ დაარღვიონ საზოგადო მშვიდობა და წესიერება, მეტადრე ნუ მისცემენ ნებას დედა-კაცებსა და ბავშვებს შეკრებილ ხალხში დგომისასა. გარევა ბრბოში, რომელიც შეკრებილა უწესოების მოსახდენად, თავის თავად დანაშაულობაა, რადგან შეჯგუფება ხალხისა ქუჩაში აღკრძალულია კანონით. არეულობა და უწესოება ქუჩებში ვერ შეარყევს მთავრობის გადაწყვეტილებას, ამიტომ ბრბოს თავხედურ თვით-ნებობას შესაძლოა ყოვლად საზარელი შედეგი მოჰყვეს და გაკეთებით-კი ასეთის თვით-ნებობით არა გაკეთდება-რა“.

უ ც ხ ო ე თ ი

საფრანგეთი. „France Militaire“-ში დაბეჭდილია საინტერესო წერილი ვიღაც გენერლისა. ავტორი საფრანგეთის პოლიტიკას ეხება და იმ განსაცდელის შესახებ სწერს, რომელიც ვითომ საფრანგეთს მოელის. გენერალი ამბობს, რომ ინგლისი ტრანსვაალის ომის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ეცდება ევროპაში საქმეები აამტუტოს და საერთო ომი მოახდინოს, ამასთან სამთა კავშირი ოთხთა კავშირად გადაიქცევა, რადგანაც ინგლისი არ დააყოვნებს და რუსეთ-საფრანგეთის ჯავრის ამოყრას მოისურვებსო. ვერავითარი ხელშეკრულებანი, მოლაპარაკებანი და კავშირები ვერ ააცდენენ ევროპას საერთო ომს. რუსეთი და საფრანგეთი იძულებულნი იქნებიან ბრძოლის ველზედ გავიდნენ. ყველა ამის გამო, ავტორის აზრით, საჭიროა საფრანგეთი ეხლავე შეუდგეს მზადებას და სანაპირო ადგილების გამაგრებას. ინგლისი და იმის მოკავშირენი უპირველეს ყოვლისა თავიანთ მახვილს საფრანგეთის ახალშენებს მოუქნევენ; ამიტომ ფრანგნი იქ უნდა იყვნენ მზად მტრის დასახვედრად. ინდო-ჩინეთი და კუნძული მადაგასკარი—აი, ამ ადგილების გამაგრებას უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება საფრანგეთმა. რამდენად გამართლდება გენერლის წინასწარმეტყველება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

— როგორც დღევანდელ დეპეშებიდგანა სჩანს, საპარლამენტო არჩევნები საფრანგეთში უკვე დაიწყო. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არის მოსული, მაგრამ რაც არის, იმიდგანაც ნათლადა სჩანს, რომ ამ არჩევნებში მოწინავე ელემენტებს გაუმარჯვნიათ, განსაკუთრებით პროვინციაში. საკვირველია, რომ დედა-ქალაქი, პარიჟი, რეაქციონერთა ხელშია, მაშინ, როდესაც პროვინციაში ყველგან პროგრესისტნი, რადიკალნი და სოციალისტნი იმარჯვებენ. ამ რიგად მომავალ პარლამენტის უმრავლესნი ისევე, როგორც აქამდე იყო, დღევანდელ მთავრობის მომხრენი იქნებიან. ბევრს ეცადნენ კლერიკალნი და რეაქციონერნი, მაგრამ ვერა გააწყეს-რა; ვერაფერმა ვერ უშველა იმათ, ვერც რიხიანმა სიტყვებმა, ვერც მოსყიდვამ, ვერც ლოცვამ და ვერც სხვა ხრიკმა, ლოცვით-კი კლერიკალნი ბევრსა ლოცულობდნენ. მათ დიდის თხოვნით მიჰმართეს მცხოვრებთ, არჩევნების დღეებში ლოცვას ნუ მოაკლდებითო. „11-დგან 19 მარტამდე,, სწერდნენ ერთ განცხადებაში იეზუიტნი, წმ. იოსებს ევედრეთ, 12-დგან 20 მარტამდე ღვთის მშობელს, 20 აპრილიდგან 8 მაისამდე—სული წმიდას. იმარხულეთ და ილოცეთო!“ ასე არ იქცეოდნენ რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა დასები. იმათმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელზედაც ხელი ეწერათ კამბონს, დემონს, ვალლეს, ლეონ ბურჟუას, ბრისსონს, მარი ფორს, მეზიურერს და პელტანს. „რესპუბლიკელო დემოკრატნო! სწერია ამ მანიფესტში, ჩვენა გვსურს რეფორმები, გვსურს მეტი თანასწორობა და სამართლიანობა კლასთა შორის; ვთხოულობთ ორის წლის სამხედრო ბეგარას, პირ-და-პირ გადასახადთა რეფორმას, შემოსავლის კვალობაზედ გაწერილ გადასახადს, სოციალურ დაზღვევის ორგანიზაციას, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გაძლიერებას, მუშათათვის საზოგადო საპენსიო კასსის დაარსებას და კერძო საკუთრების დაცვას. საკუთრება ჩვენ ადამიანის პიროვნების განგრძობად და თავისუფლების გარანტიად მიგვაჩნია. სწორედ ამიტომ არა გვსურს მდიდარმა სამრეწველო დაწესებულებებმა ახალ ფეოდალიზმის ხასიათი მიიღონ. ჩვენ გვსურს ისეთ რეფორმების მიღება, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ კაპიტალის შენახვასა და შეძენას, წვრილ მესაკუთრეთა გამრავლებას და სოციალურ მშვიდობიანობის დამყარებას. ასეთია ჩვენი პროგრამა. იცოდეთ, ნაციონალიზმის ნიღაბ ქვეშ რეაქციონურ დასთა კოალიცია იმალება. ჩვენ დავამარცხებთ, დავამხობთ ამ კოალიციას, თუ რესპუბლიკელნი მხნედ და თანხმობით იმოქმედებენ“.

ინგლისი. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ირლონდიაში საომარ დროის კანონები იქმნა შემოღებული. ამის და მიუხედავად ,,ირლანდიის ლიგის‘‘ კილრუშელმა წევრებმა განაცხადეს, რომ მთავრობა რაც უნდა სასტიკად მოგვექცეს, ჩვენ ყოველ წლიურ მიტინგს მაინც გავმართავთო. ამ ოლქის მცხოვრებნი მეტად უკმაყოფილონი არიან მთავრობისა. ლიგის იქაური წევრნი ყველანი შეიარაღებულნი არიან. მათ რამდენჯერმე საიდუმლო თათბირიცა ჰქონდათ. მოხელეებს ლამე პო-

---

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

იმერეთის მეფე სოლომონ II

(ისტორიული ამბავი)

I

როგორც ისტორიით ვიცით, ქართლმა და კახეთმა იმერეთზედ უფრო ადრე მიიღო დიდის რუსეთის ქვეშევრდომობა. მეფე სოლომონი-კი გამაგრდა იმერეთში, რადგან დიდის ეჭვით უყურებდა რუსების შემოსვლას და მათ გავლენას იმერეთის ყოფა-ცხოვრებაზედ. ვერავინ ვერ დააჯერა მეფე, რომ დიდებულ რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ მისი სამეფო ბედნიერი და უზრუნველ-ყოფილი იქნებოდა. ან-კი ვის უნდა დანდობოდა, როდესაც შინაური და გარეული ყველა მისი მტერი იყო, ყველა მის წინააღმდეგ მოქმედებდა. მეფის დაახლოვებულნი იმას უფრო ცდილობდნენ, რომ მეფე როგორმე რუსეთის მართებლობას ხელში ჩაეგდო და ამით თავიანთი პირადი სარგებლობა დაეცვათ. მიზეზიც ეს იყო, რომ მეფემ, თუმც ფიცი-კი მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობისა, მაგრამ დასამტკიცებლად ამა ფიცისა, ჩვეულებისამებრ, რუსეთში დეპუტაციის გაგზავნა-კი ძლიერ დააგვიანა. მეფის ეჭვი და გაუბედაობა თანდათან მატულობდა... მართებლობამ კიდევ უფრო ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა მეფის ამ გვარ მოქმედებას და მასთან დაახლოვებულთა შემწეობით იგებდა მეფის ზოგადს პლანებს და მოსაზრებას...

აირია დროთა ვითარება იმერეთში: დადგა საშინელის ეჭვიანობისა, შიშისა და ძრწოლის ეპოქა.

შეშინებული მეფე ჰგრძნობდა, რომ ქუთაისში მისი გაჩერება შეუძლებელი იყო. მის შესაპყრობლად მართებლობა ყოველგვარ ღონესა ხმარობდა. რუსის ჯარი ქუთაისიდგან სულ რამოდენისამე ვერსის მანძილზედ იყო დაბინავებული ბოლოს გადასწყვიტა: სოფლად, სადმე მივარდნილ ადგილას, უღაბურ ტყე-ველით გარს შემორტყმულ ქვეყანას მივაშურებო... ჩემი სამეფო სატახტო ქალაქი ქუთაისი-კი უნდა მოვიწყვიტო გულიდგან და სხვებს ჩავუგდო ხელშიო...

მეფე დაუყოვნებლივ გაემგზავრა ს. ვარციხეში, რომელიც ქ. ქუთაისიდგან 20—30 ვერსის სიშორეზედ მდებარეობდა—ზეკარის ხეობაში *) და დროებით იქაურ სასახლეში დაბინავდა. აქ მეფე გარსშემორტყმული იყო თავის ამალით და დაიარაღებულ თავად-აზნაურებით. მეფე ყველაფერს იგებდა ქუთაისის ამბებისას... რუსეთის მართებლობამ დაიკავა ქუთაისი. რუსეთის ჯარით აივსო მთელი იმერეთის მიდამო. მეფის სასახლე ქუთაისში ჯარის-კაცების ბინათ გაჰხადეს და შიგ ჯარი ჩააყენეს... მეფე სოლომონი-კი გულ-დამწვარი შორიდგან ისმენდა ამ ამბავს.

II

1809 წლის აპრილის 29-ს, დილით ადრე, მეფის სასახლეს რუსეთის მართებლობის გამოგზავნილი რამდენიმე უცხო კაცი მოადგა... სასახლეში ამის გამო დიდი ფაცი-ფუცი, მისვლა-მოსვლა და გამოკითხვა შეიქნა...

— ვინ ბრძანდებით? რაზედ მოსულხართ? —ჰკითხეს უცნობთ.

საზოგადოდ მიღებული იყო, რომ მეფესთან არავის არ მიუშვებდნენ, მეფის დაუკითხავად, სანამ ვინაობას არ შეიტყობდნენ.

— მთავარ-მართებლის გენ. ტორმასოვის გამოგზავნილი გახლავ რთ, გვინდა მეფე პირადათ ვნახოთ!..—იყო მათი პასუხი.

— რა გნებავსთ მეფესთან? პირადათ მისი ნახვა ასე უცებ არ შეიძლება. თუ რამ გაქვსთ —მოგვეცით, ჩვენ გადავცემთ...

— ჩვენ გვაქვს ბარათი მეფესთან. თუ გვინახულებს—გადავცემთ და, თუ არა, უკანვე წავიღებთო.

მოახსენეს მეფეს ეს ამბავი. მეფემ რამოდენისამე ხნის შემდეგ მიიღო გენ. ტორმასოვის გამოგზავნილი კაცი. ჩამოართვა ბარათი, გაშალა, წაიკითხა და, სულიერ მღელვარების ნიშნად, პირის სახე სულ გამოეცვალა... „სხვათა შორის უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი საქციელის გამო ხელმწიფე იმპერატორი დიდად განრისხებულია,—სწერდა გენ. ტორმასოვი მეფეს. მათს იმპერატორებითს უდიდებულესობას ვერ წარმოუდგენია თქვენი ამ გვარი საქციელი. თქვენ-მიერ მიღებულის ფიცის და ხელ-შეკრულობის (ტრაქტატი) ძალით ვალდებული იყავით აქამდის გაგეგზავნათ რუსეთში დეპუტაცია და უმდაბლესის მადლობის გამოცხადებით დაგემტკიცებიათ თქვენი გრძნობანი ერთგულებისა. მაგრამ არ ვიცი, რათ უკუ-დგებით და არ ემორჩილებით პირობას. ახლა გაცნობებთ, რომ მ. იმპ. უდიდებულესობამ მიბრძანა დაუყოვნებლივ გაგზავნოთ მასთან—რუსეთში დეპუტაცია, რომელშიაც უსათუოდ სახლთ-ხუცესი თ. ზურაბ წერეთელიც უნდა ერიოს.

დეპუტაცია უნდა გამოეცხადოს იმპერატორს, მოახსენოს თქვენ მაგიერ უმდაბლესი მადლობა, პატრონობისა და იმერეთის სამეფოს დიდებულ რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებისათვის და სრული მორჩილების გრძნობანი გარდასცეს...

თქვენის უსიამოვნების ზოგიერთი მიზეზები თ. ზ. წერეთელმა გადმომცა. ლეჩხუმის მაზრის დაბრუნების შესახებ ტყუილად სწუხდებით. ლეჩხუმის მაზრა ჩამოგერთვათ მათ იმპერატ. უდიდებულესობის ბრძანებით და განკარგულებით. თუ დეპუტაციას დროზედ გაჰგზავნით რუსეთში და თან გაატანთ იმ საბუთებსაც, რომლის ძალითაც ის მაზრა თქვენ გეკუთვნის, იმპერატორს თქვენზედ გული მოუბრუნდება და ლეჩხუმის მაზრას უკანვე დაგიბრუნებთ. თქვენის განრისხების მეორე მიზეზი კიდევ ის არის, რომ თქვენს ყურამდის ცრუ ამბავს მოუხწევია, თითქოს თქვენი სასახლე ჯარის ბინად გაგვეხადოს და მთლად აგვეოხრებინოს. დამშვიდდით, მეფევ, დამშვიდდით! ეს ამბავი სრულიად მოკლებულია სინამდვილეს. ჯერ ერთი, რომ თქვენი სასახლე მაშინვე დავცალეთ და იქ ახლა ერთი ჯარის-კაციც არ სცხოვრობს, მეორედ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენს სასახლეს რაღა აოხრება ეჭირვებოდა, როდესაც სიძველისა გამო ისეთაც გაოხრებული და დანგრეული იყო! თუ გინდ ესეც რომ მართალი ყოფილიყო, ნუ-თუ ამისთანა მცირე შემთხვევამ უნდა გაგიციოსთ გული რუსეთის მართებლობისადმი და უარ-ჰყოთ ხელშეკრულობის შინაარსი და ხელმოწერილი ფიცის ფურცელი? დარწმუნდით მეფევ, რომ თუ ჩვენმა ჯარმა რაიმე ქონებრივი ზიანი მოგაყენათ—ყ-დ მოწყალე იმპერატორი ერთი სამად გიზღავთ და გადაგიხდით. ამასთან თუ ინებებთ და თქვენის ნებით ქუთაისში თქვენსავე სასახლეში დაბრუნდებით, გაძლევთ სიტყვას, მთელს ჯარს ქუთაისიდგან გავიყვან; დავტოვებ მხოლოდ რამდენსამე ჯარის-კაცს, თქვენის უმაღლესობის სადარაჯოთ“ *).

მეფემ გენერალ ტორმასოვის კაცები მეორე დღესვე გაისტუმრა. სასახლეში მყოფი თავად-აზნაურობა შეჰკრიბა და ბარათის შინაარსი ყველას აცნობა. შეიქმნა თათბირი, რჩევა, მსჯელობა... ვინ ურჩევდა მეფეს ტორმასოვის მოწერილობის შესრულებას და ვინ უშლიდა...

ამ ხანებში გრაფ გუდოვიჩის განკარგულებით გაიგზავნა იმერეთში ყაბარდო მუშკატერთა პოლკის შეფი, გენერალ-მაიორი თ. ორბელიანი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დაახლოვებოდა იმერეთის მეფეს, შეეტყო მისი შინაური საიდუმლოება, ერჩია მისთვის დამორჩილება ნებით გახდებოდა, ძალით შეეპყრო და გაეგზავნა... თ. ორბელიანი ამ დავალებულ მონდობილების აღსასრულებლად

ამ სოფელს ახლაც ეს სახელი ეწოდება. ავტ.

*) აქტები. ტ. V.

ლიციელთა რაზმი გაუგზავნიათ ამ ოლქში; ჯარისათვისაც თავს მოუყრიათ. ამბობენ, მიტინგის დღეს დიდი შეტაკება მოხდება ირლანდიელებსა და ჯარს შორისაო.

— ირლანდიელებმა, მთავრობის გამოსაჯავრებლად, ამ რამდენისამე თვის წინად დეპუტატებად აირჩიეს პოლკოვნიკი ლინჩი, რომელიც ბურებთან ერთად ინგლისელების წინააღმდეგ იბრძოდა სამხრეთ-აფრიკაში. მთავრობამ მაშინვე გამოაცხადა, რომ ლინჩს დეპუტატობა არ შეუძლიან, რადგანაც იგი სამართალშია მიცემული ინგლისის ღალატის გამო. პატრიოტნი სამართალში მიცემას არ დასჯერდნენ და პალატის კრებაზედ ამას წინად ლორდ პერსიემ მოითხოვა, რომ ლინჩი რამ წამს ინგლისში მოვა (ეხლა იგი საფრანგეთშია), დააპატიმრონ და დასაჯონ, ხოლო იმის მამულები და ქონება ხაზინას გადასცენ. სახელმწიფო პროკურორმა ფინლეიმ ამაზედ სთქვა, რომ კანონით ნება არა გვაქვს სასჯელი გადავუწყვიტოთ ბრალდებულს იმ დრომდე ვიდრე იგი ინგლისის მიწა-ადგილში არ შემოსდგამს ფეხსაო. ფინლეის შემდეგ ამავე საგანზედ ილაპარაკა ირლანდიელმა დეპუტატმა მაკ-ვიგმა, რომელმაც, მიჰმართა-რა ლორდ პერსეის, სთქვა, ხომ არ გაიხსენებს კეთილშობილი ლორდი სამს თავისს წინაპარს, რომელნიც ღალატის გამო ჩამოხრჩობილ იქმნენო. ამ სიტყვების გამო სიცილი აუტეხნიათ. ლორდი პერსეი ისე არეულა, რომ ვერაფერი მოუხერხებია. იმათ წინაპართა შორის მართლაც ბევრნი ყოფილან მოღალატენი და გამცემნი.

— როგორც 'გაზეთები სწერენ, მოლაპარაკებას ბურებსა და ინგლისელებს შორის უნაყოფოდ ჩაუვლია. ბურების წარმომადგენელთ არ მიუღიათ ინგლისის პირობა, და პრეტორიიდგან წარმომადგენელნი უკვე დაბრუნებულან თავიანთ ბანაკებში მეომარ ბურებთან.

ოსმალეთი. მაკედონიისა და ალბანიის გარდა არეულობამ იემენშიაც იფეთქა. როგორც „Mon. Ottoman“-ს სწერენ, იემენში სრული ანარქიაა თურმე. მეამბოხე არაბნი მექქის მახლობლად თავს დასხმიან ოსმალთა ჯარის ერთ რაზმს. ბედუინები კიდევ მლოცავებს დასცემიან. მათ 600 კაცი მოუკლავთ. ნეჯიდის ტომთა წინამძღოლი, სულთანის მომხრე იბნ-ელ-რეშიდი, დიდად დაუმარცხებია აჯანყებულ ტომთა წინამძღოლს იბნ-სუგუდს.

— „Revue d'Orient et de Hongria“ სწერს: „ევროპის ჟურნალ-გაზეთობა ძალიან ბევრს ლაპარაკობს მაკედონიის საქმეების გამო. თუ დავუჯერებთ ამ ამბებს, ოსმალეთის იმპერიის ერთ ნაწილში ნამდვილი რევოლიუცია და ანარქიაა; ბოლგარიის სარევოლიუციო ბრბოები ვითომ მოსვენებას არ აძლევენ მშვიდობიან მცხოვრებთ. გაზეთები თავს უყრიან და ასაღებენ ყოველგვარ სისულელეს და სიცრუვეს, ათინასა და ბუქარესტიდგან მოსულს. ნამდვილად-კი ყოველი ამბავი, რუმინიასა და საბერძნეთიდგან მოსული, სიმართლეს მოკლებულია. განგებ ავრცელებენ ცრუ ამბებს, რათა ოსმალეთი ბოლგარიის პატარა სახელმწიფოთა წინააღმდეგ აამხედრონ, ამ რიგად საქმეები აწეწ-დაწეწონ და შემდეგ მღვრიე წყალში თევზები დაიჭირონ».

ჩინეთი. არეულობანი ჩინეთში დღითიდღე ძლიერდება. „რუსეთის სააგენტოს“ სიტყვით, ჩინეთის ჯარი, ნანინგში მიმავალი, მეამბოხეთ წააწყდა. ცხარე ბრძოლა მოხდა. ჯარმა მეამბოხენი გაჰფანტა, ამასთან ტყვეთ ჩაიგდო მეამბოხეთა წინამძღოლი ხუანგი. მეორედ შეტაკება ჯარსა და მეამბოხეთა შორის ქალაქ ბუანძუნგთან მოხდარა. იანშიკიანის ჯარის წინააღმდეგ სოფლელნი ამხედრებულან თურმე. ამ სოფლელთ ჯარისთვის 500 კაცი მოუკლავთ. როგორც ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ გონკონგიდგან, გუნ-სის მეამბოხეთ განუზრახავთ დაპყრობა სამის პროვინციისა—იუნანისა, გუან-სისა და კვანტუნგისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნა. ეს მეამბოხენი წინააღმდეგნი არ არიან უცხო-ქვეყნელთა, თუ თავიანთი სურვილი განახორციელეს. აზრადა აქვთ უცხო-ქვეყნელებს თავისუფალ ვაჭრობის ნება მისცენ ახალ სახელმწიფოში.

სერბია. ბელგრადის უნივერსიტეტის მთავრობას დიდად დაუსჯია ის სტუდენტები, რომელთაც წარსულ თვეს სენატის წინ მომხდარ მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღეს. სენატმა, როგორც ვუწყით, უარ-ჰყო კანონი ასოციაციათა და კრებათა შესახებ, რომელიც საერო კრებამ მიიღო. ეს დემონსტრაცია ჟანდარმებმა იარაღით ჩააქრეს. სტუდენტთა ასოციაციის თავმჯდომარე პეტრე მარკოვიჩი სამუდამოდ გააგდეს უნივერსიტეტიდგან, 214 სტუდენტი მეორე სემესტრიდგან განდევნეს, 173 სტუდენტი—პირველის სემესტრიდგან, 23-ც დააპატიმრეს. ამ გადაწყვეტილების გამო სტუდენტებმა პროტესტი განაცხადეს.

უცხოელის წერილის გამო.

ეხლა-ხანს კონსტანტინეპოლიდამ მოგვივიდა შემდეგი წერილი, რომლის თარგმანს აქვე ვურთავთ.

„მოწყალეო ხელმწიფევ!

„გიგზავნით თქვენის წერილის პასუხს. მადლობას გიძღვნით წიგნებისთვის, რომელნიც გამომიგზავნეთ. განვაგრძობ ჩემს შრომას და, ვსასოებ, დავასრულებ მას, თუ თქვენც შემეწევით თქვენის რჩევით. თქვენის საყურადღებო შრომის შესახებ ცნობას ვაწვდი ბელგიურს სასულიერო კრებულს „დუვენს“. ზოგიერთ ადგილების თარგმნა კიდეც დავიწყე თქვენის შრომიდგან. საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ აუცილებლად მსურს ვიქონიო ქართული გრამატიკა და ლექსიკონი. ვინატრი მქონდეს ლექსიკონი ჩუბინაშვილისა და ქართული გრამატიკა რუსულსა ანუ ევროპიულს რომელსამე ენაზე. იმედი მაქვს, შემეწევით საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. იგი იმდენად მიმზიდველია და საყურადღებო, რომ მის შესწავლის საჭიროებას ჩემს ვალდებულებად ვსთვლი. დიახ, მე რომს გახლდით და ვატიკანის სიძველეთსაცავში აღმოვაჩინე საბუთები, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ თქვენის კეთილსათნო მამულის ისტორიასთან. საქართველოს ისტორიისთვის ვამზადებ მასალას ბიზანტიისა, სომხურისა, არაბთა, ეთიოპთა და ევროპიელთა წყაროებიდამ. მწამს, რომ წმ. თეოგნოსტე და წმ. ნინო ერთი და იგივე პირია. მოუთმენლად მოველი თქვენს პასუხს. ვსასოებ, მიშველით, რომ ჩემმა შრომამ დააკმაყოფილოს კრიტიკის მოთხოვნილება და შეავსოს ევროპის ლიტერატურაში არსებული ნაკლი თქვენის ქვეყნის შესახებ. მანამდე-კი ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს თქვენ და ბ-ნ თაყაიშვილს მოგიძღვნათ მადლობა პატივისცემით და გისურვოთ კარგა მყოფობა.

ავრელიო პალმიერი.

კონსტანტინოპოლი.
2 აპრ. 1902 წ.“

ჩვენის ქვეყნის შესახებ ბევრი არა იციან-რა ევროპიელებმა. ვენის სამეფო წიგნთ-საცავში, როგორც ამ წინა ხანს აღმოაჩინა ა. ხახანაშვილმა, ჩვენი წიგნები თურმე ამერიკის გიორგიანთა წიგნებად მიუჩნევიათ! ამ მხრივ სწორეთ გასაოცარია ჩვენი უზრუნველობა. მართალია შარშან დაიბეჭდა ა. ხახანაშვილის-მიერ ფრანგულს ენაზე შედგენილი მოკლე სახელმძღვანელოსებური წიგნი და იგი გავრცელდა კიდეც, მაგრამ ეს საყურადღებო წიგნიც მთელი ევროპიისთვის წვეთია ზღვაში. საჭიროა მაგვარი წიგნები ბევრი იბეჭდოს. გარნა რავარ დაიბეჭდება, თუ ჩვენ არ დავეხმარებით იმათ, რომელთაც სურთ შეისწავლონ ჩვენი წარსული. აგერ, დღეს გამოჩენილა პალმიერი, ორიოდ წერილი კიდეც დაუბეჭდია, სხვებსაც ამზადებს, საქართველოს ისტორიის შედგენასაც აპირებს; მასვე სურს ჩვენი ავ-კარგი შეატყობინოს მსოფლიოს იტალიურისა და ფრანგულ ენების შემწეობით. ამ წინა ხანს მას ჩვენ გავუგზავნეთ 24 წიგნი, გარნა კიდევ საჭიროა მისთვის ქართული გრამატიკა, ლექსიკონი რუსულსა ანუ ევროპიულს ენებზე და სხ. რასაკვირველია, ყველა ამას ფული უნდება, ხარჯი გასაგზავნათ და სხ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, განა, მოთხოვილი წიგნები-კი გვაქვს! აგერ ათიოდე დღეა, მე და იმედაშვილი ვეძებთ ჩუბინაშვილის ლექსიკონებს და ვერსად გვიპოვნია: გასასყიდი მაღაზიებში აღარ ყოფილა, ერთს კერძო კაცთან აღმოჩნდა ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი და იმასაც თუმნად აფასებს. სიბეჩავე ჩვენი სწორეთ გასაკვირველია. ლექსიკონები და გრამატიკებიც-კი არ მოგვეპოვება! ალბად,—ისტორიისა არ იყოს, მოველით უცხოელს, რომ შეგვიდგინოს ქართულ-რუსულ-ფრანგული და ფრანგულ-ქართულ-რუსული ლექსიკონი გრამატიკითურთ და მერე, თუ მისი ნათხზი, რეკლიუს შრომასებ, მრავალ გვარ ნაკლით აღსავსე აღმოჩნდა, ვიწყოთ ერთი ვაჲ შუანი და ვაჲ უშველებელი. დიახ, გვძინავს ჩვენ, გვძინავს და გვკლავაც, ალბად, გვეძინება ვისაც ასხიან ყურნი სმენად, ისმინენ!

მ. ჯანაშვილი.

P. S. თუ ვინმე მოისურვებს შეგვაძლებინოს შეძენა ამ წერილში აღნიშნულ ლექსიკონისა ანუ გამოგვიგზავნოს თვით ლექსიკონი, მოგვიკითხოს ქართულ გაზეთების რომელსამე რედაქციაში და ანუ წ. კ. საზოგადოების სამდივნოში.

მ. ჯ.

ეხლანდელი ალილო და ჭონა.

დადგება ქრისტეს შობის ან აღდგომის დღესასწაული, ჩვენ ქალაქებში და უმეტესად დაბასოფლებში მოგროვდებიან ემაწვილები, და ზოგჯერ მოხუცებულნიც, ჩამოუვლიან ოჯახებს და გალობით დღესასწაულს ულოცავენ. ამ მისალოცავ საგალობლებს უწოდებენ «ალილოს» და „ჭონას». «ალილო» და „ჭონა“ ძველიდგანვე არის ჩვენში და ზოგან დიდის სიხარულით ეგებებიან დღესასწაულის მახარობლებს, ან როგორც აქ ეტყვიან, „მეალილოებს“, განსაკუთრებით იმათ, ვინც კაი ძველის კილოთი ხმა-შეწყობილათ გალობს. მაგრამ,—ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდაც,—ეს ძველებური მამა-პაპური მილოცვის საგალობელი, ზოგიერთის მეტიჩარების წყალობით გარდაქმნეს და გადაცვალეს სრულიად სხვა გაუგებარ კილოზედ და ენაზედ...

შობის წინა დღეებში გალობენ «ალილოს» მაგივრად შობის დღესასწაულის „ტროპარს“ „შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო!“ და აღდგომის წინა კვირაებში «ჭონის» მაგივრად „განათლდი, განათლდის“ სლავიანურათ, რომელიც ათასნაირათ გადამახინჯებულია, როგორც შინაარსით, ისე კილოთი. ჩვენს სკოლებში რუსულად და ქართულად ასწავლიან ამ «ტროპარს» და პასექის საგალობელსაც, რომელთაც თავისი საკუთარი დანიშნულება და დრო აქვს.

დადგა თუ არა დიდ-მარხვის უკანასკნელი დღეები, დაიწყეს ქუჩა-ქუჩა და ბაზრებში ბავშვებმა სიარული და გაიძახოდნენ რუსულად „Свѣтися, свѣтися....“ ქუჩის ბიჭებმა სკოლის შეგირდებისაგან გაგონებით ისწავლეს და ეს საგალობელი, ათასნაირათ დატანჯული და დამახინჯებული, როგორც ჭიათურაში ისე, სხვაგან, გაისმოდა: „სვატისია, სვატისია, ნოვაი იარუსალიმე, სლავაფო დასპოდნია, ნათებე ოსია, ლიკუეი ნინო ივესელი აისია სივონე, ტიჟე ჩისტაია კრასუნისია ბაღოროდიცე ობოსტანიე რაჟდესტა ტოეღო»......

ამ დამახინჯებულ და ჯვარცმულ კილოს და სიტყვების გაგონებაზედ კაცს ბრაზი მოსდიოდა.

არ იქნება ურიგო, რომ ასეთს შეუფერებელს ადგილებზედ, როგორიც სამიკიტნოებია, აღეკრძალოს პატარა ყმაწვილებს სიარული გალობით, თორემ ეს წმიდა საგალობელი იბღალება ერთის მხრით კილოს და სიტყვების ათასნაირათ დამახინჯებით, მეორეთ „ღოთი კამპანიის“ სიცილ ხარხარით და ცუდის სიტყვებით.

ბ. ვაშაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ მცირე ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთში.

წარსულის წლის ნოემბერში ჩვენ მივიღეთ ხიდისთავის (გურია) უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობისაგან ქაღალდი, რომელშიაც გვთხოვდნენ, მონაწილეობა მიგვეღო ხსენებულ სამკითხველოს და მასთან ერთად თეატრის შენობის აგებაში, შემოწირულებით არა მარტო ჩემგან, არამედ ნაცნობთა და თანამგრძნობთა შორისაც შემეკრიბა მცირეოდენი შემოწირულება ამ კეთილის საქმისთვის. ამასთანავე წერილში იყო ნათქვამი:ყოველ შემოწირულების რაოდენობა და სახელი და გვარი რომელსამე ქართულს გაზეთში იქმნება გამოცხადებულიო'.. ჩვენც, როგორც მოგვეხერხებოდა, შრომა არ დავიზარეთ და შევკრიბეთ 12 მ. 70 კ. და გაუგზავნეთ სამკითხველოს გამგეს ბ-ნს რამიშვილს და ვსთხოვეთ მათის დაპირებისამებრ შემომწირველთა სახელი და გვარი გამოეცხადებინა ერთ-ერთ გაზეთში. აგერ ოთხი თვე სრულდება თითქმის და დღესაც არ ვიცით, რა იქნა ის ფული? თუმცა კეთილი საქმის გამომჟღავნება დაფითა და საყვირით არ ვარგა, მაგრამ მაინც სასურველია შემომწირველთ იცოდნენ ნამდვილად, თუ რა იქნა მათ მიერ გამოღებული წვლილი?!

ამისთვის ეხლაც მივმართავ თხოვნით ბ. რამიშვილს შეგვატყობინოს გაზეთ „ივერიის“ საშუალებით მიიღო თუ არა, ან რა დანიშნულება მისცა ხსენებულ ფულს?!

პავლე ლომთათიძე.

მადლობის გამოცხადება.

I

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ყველას, ვინც ახალშენის ეკატერინენფელდის (ბორჩ. მაზრა) მართლ-მადიდებელთა ნიშის აშენებისთვის შემწეობა აღმოუჩინა კომიტეტს. ახალი შეწირულებანი მიღებულია კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანისგან 50 მან., ახალის მაზრის უფროსის შანშიევისაგან 16 მან., ობოლთა [illegible]ლოს თავმჯდომარე ბ. სულიევისაგან 6 მან., დავით და მიხეილ ბაიდოშვილებისაგან 5 მანეთი, ჩაქვის საუფლისწულო მამულების უფროსის ნ. ნ. ლვოვისაგან 13 მან., ალბულადის პოლკისაგან 2 მან., ი. შ. ბ. შანშიევისაგან 2 მან., ნ. ი. ქ. შანშიევისაგან ერთი წყვილი სრული სამღვდელო შესამოსი და მანთაშოვისაგან მარტო ხელის მოსაწერი ფურცელი.

თავმჯდომარე კომიტეტისა მღვდელი სტეფ. ბაიდოშვილი. სეკრეტარი კომიტეტისა ი. ი. ციციშვილი.

II

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ ივანე კეთილაძეს, რომელმაც კეთილ-ინება და შემოსწირა ჩემდა რწმუნებულს ალაგირის ქართულ სკოლასთან დაარსებულს წიგნთ-საცავს: 1900 წლის ჟურნალ „მოამბის“ სრული გამოცემა, სამი რუსული წიგნი და „ცნ. ფურცლის» რამდენიმე სურათებიანი დამატება; იმედია სხვებიც მიჰბაძავენ ამ მაგალითს და შეძლების და გვარად შემწეობას აღმოუჩენენ ამ ნორჩს და უცხო ქვეყანაში გამარტოვებულს ქართულს ბიბლიოთეკას.

ალაგირის ქართულ სკოლასთან არსებულ წიგნთ-საცავის გამგე-მასწავლებელი პავლე ლომთათიძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 აპრილი.

პეტერბურგი. „Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია საერო განათლების მინისტრად ყოფილის ბრძანება, რომელშიაც გენ.-ად. ვანოვსკი მადლობას უცხადებს მახლობელ თანაშემწეებს, სამინისტროს მოხელეთ და სხვებს. დასასრულ ვანოვსკი იმედს აცხადებს, რომ საგნები, ჩემ მართვა-გამგებლობის დროს განხილული, რამოდენსამე სარგებლობას მოუტანს სასწავლებლებს და მოსწავლეთ გაუძლიერებს ღრმა სიყვარულს რუსეთისა და ხელმწიფის მიმართ.—იმავე გაზეთში დაბეჭდილია დედოფალ იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის რესკრიპტი, რომელშიაც დედოფალი მადლობას უცხადებს საიმპერატორო საზოგადოების კეთილშობილ ქალწულთა სასწავლებლის უფროსს უგან. თავადის ასულს ლივენს ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის. — ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა ტფილისის კომენდანტს გენერალ-მაიორს რეიტერს.

პარიჟი. მოსამზადებელი საარჩევანო ხანა დასრულდა პარიჟსა და პროვინციებში უინციდენტოდ.

პეკინი. როგორც ისმის, იანშიკაი და ინგლისის ელჩი მალე ხელს მოაწერენ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ პეინ-ტიანძინის რკინის გზა ჩინელებს დაუბრუნდეთ.—გერმანიისა, ინგლისისა და იაპონიის ოფიცრები დანიშნულ იქმნენ დირექტორის თანაშემწეებად სამხედრო ტრანსპორტების საქმეში თვალ-ყურის სადევნებლად.

ნოვოროსიისკი. ქალაქის საბჭომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას, რომ შავიზღვის პირის რკინის გზა ნოვოროსიისკიდგან იქმნას გაყვანილი.

15 აპრილი.

პარიჟი. საღამოს ექვს საათზედ ამომრჩეველთა სიები ყველგან დასრულეს. პროვინციაში მშვიდობიანობაა.

შემახა. დღეს, საღამოს შვიდ საათსა და 15 წამზე, ძლიერი გრგვინვა მოისმა მიწიდან; ნახევარ საათს შემდეგ უფრო სუსტად განმეორდა.

ერივანი. უკანასკნელ ორი ღამის ცივმა ქარმა დააზიანა ვენახები და ხეხილი.

პარიჟი. ამომრჩეველთა მოძრაობას ჯერ არავითარი ინცინდენტი არ გამოუწვევია. ოპერის

გაეშურა პირდაპირ მეფის სანახავად ს. ვარციხეში...

III

ს. ვარციხე მდ. ყვირილის გაღმა მდებარეობდა. მდ. ყვირილაზედ ხიდი არ იყო. მგზავრები მხოლოდ ნავით უნდა გასულიყვნენ მეორე ნაპირზედ. აქ იდგნენ მეფის დარაჯნი და, ვინც-კი უცხო მოადგებოდა გასასვლელად, მეფეს აცნობებდნენ. თუ მეფე ნებას დაჰრთავდა, მგზავრებსაც მხოლოდ მაშინ შეეძლოთ წყალში გასვლა. თ. ორბელიანს რამდენიმე კაცი ახლდა თან. სანავოზედ მეფის დარაჯებმა გაყვანის უარი უთხრეს:—თქვენო ბრწყინვალებავ, ჩვენ ნება არა გვაქვს. მეფის უნებურად გაღმა გაგიყვანოთ, თუ გვიბრძანებთ, მეფეს მოვახსენებთ და მათ სიტყვას თქვენ გადმოგცემთო. თ. ორბელიანი დაეთანხმა მათ, რადგან მეფე მივარდნილ და გაუვალ სოფელში იდგა, გარშემო უდაბური ტყე ერტყა და ათასი დაიარაღებული ერთგული თავად-აზნაურობა სულ მუდამ თან ახლდა... ორბელიანს-კი სულ ათი თუ ოცი კაცი ჰყავდა. მეფეს მოახსენეს თ. ორბელიანის მოსვლა. ლოცა და ბრძანა:—ჰკითხეთ, რა ჰნებავს?

მეფის გაგზავნილი კაცები მსწრაფლ მიიჭრნენ სანავოზედ, რომელიც მეფის სასახლედან სულ ვერს ნახევარზედ იყო. მეფის სიტყვები თ. ორბელიანს მოახსენეს. ორბელიანმა გადასცა ბარათი, რომელიც მთავარ-მართებელმა გამოუგზავნა მეფე სოლომონს და თან სთხოვა, ნება მიეცა პირის-პირ მისის ნახვისა.

მეფემ წერილის წაკითხვის შემდეგ ჰკითხა რჩევა სასახლის თავადებს და, შემდეგ რჩევისა ბრძანა გამოეყვანათ ნავით და მოეყვანათ თავადი მეფესთან. მეფემ გარეგნობით კარგად მიიღო თ. ორბელიანი, თუმცა გულში-კი დიდი სიძულვილი და უნდობლობა ჰქონდა მისი. ორბელიანს, თუმცა სულ მცირე ამალა ახლდა თან, მაგრამ მეფის გული ამით მაინც ვერ დააჯერა, მეფეს მაინც ორასამდე შეიარაღებული თავად-აზნაური ადგა თავზედ. დიდ ხანს არ გაგრძელებულა თ. ორბელიანისა და მეფის ბაასი. მეორე დღეს მეფეს აღარ მიუღია ორბელიანი, თუმცა-კი ორბელიანს დიდი სურვილი ჰქონდა ენახა მეფე და რამდენიმე სიტყვა ეთქვა კიდევ. ამ ნაირად გულნატკენი დაბრუნდა ორბელიანი ქუთაისში. აქ რუსეთის ერთგულ თ. ზურაბ წერეთლისაგან შეიტყო რამდენიმე მიზეზი მეფის ამ გვარად ნაწყენობისა და რუსეთის ერთგულობაზედ უარის თქმისა. თ. ორბელიანი მივიდა თუ არა ქ. ქუთაისში, მეორე დღესვე აცნობა გენ. ტორმასოვს შემდეგი: „თუმცა ძრიელ ვეცადე და თ. ზურაბ წერეთლის შემწეობასაც მივმართე, რომ მეფე სოლომონის გული როგორმე მომეგო, მაგრამ ჩემმა ცდამ სრულიად ფუჭად ჩაიარა. რამდენი არ ვურჩიე დაჰმორჩილებოდა ხელმწიფე იმპერატორის ნებას და ქედი მოეხარა მის წინაშე, მაგრამ ერთი გადაწყვეტილი პასუხი მისგან ვერ მივიღე: ხან მითხრა, დრო არ მაქვსო, ხან მთებში მივდივარო, ხან თავად-აზნაურობას ვეკითხავ, ხან რჩევის შემდეგ ენახოთო და სხვანი. ერთი სიტყვით, მეფის სიტყვებიდგან სჩანს, რომ დრო უნდა გააგრძელოს, ძალა შეიკრიბოს და თავის სურვილის მისაღწევად ხალხი მოამზადოს. შევიტყე თუ არა მეფის ამ გვარი მიმართულება მე, თქვენის ბრძანების თანახმად, გადავეცი აქაურს თავად-აზნაურობას და სასულიერო წოდებას შინაარსი თქვენის მოწოდებისა და ვსთხოვე ერჩიათ მეფისათვის ხელმწიფე იმპერატორის დამორჩილება, მაგრამ, საუბედუროდ, თავად-აზნაურობამ და ზოგმა სასულიერო წოდების წარმომადგენელმაც ბოროტად მოიხმარა ეს თხოვნა. მოისმინეს თუ არა შინაარსი თქვენის მოწოდების., მივიდნენ მეფესთან და სრულიად სხვა ურჩიეს“. ამ მოწოდებით რუსეთის მმართველობა სრულებით არ გთვლისთ თქვენ იმერეთის მეფეთაო. იმდენად სუსტი და ძალ-მოკლებული ჰგონიხართ, რომ რუსეთის მართებლობა ჩვენს გავლენას ხალხზედ უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე თქვენსასაო. გირჩევთ, არც ერთი მუხლი ხელ-შეკრულობისა არ შეასრულოთო. ამით კიდევ უფრო გამხნევდა მეფე და ეტყობა, რომ ქუთაისში მყოფ ჩვენს ჯარს დაცემას უპირებს, რადგან მეფის სასახლეში ამ გზობისად ექვსი ათას კაცამდე მეტია შეკრებილი, თითქო იმ აზრით, რომ რჩევა მისცენ მეფეს, ნამდვილად-კი, როგორც საიდუმლო წყაროებიდგან შევიტყე, მე მიპირობენ დაცემას და ჩემის ჯარის ამოჟლეტას. ამ ხმებს ყურადღებას არ ვაქცევ და არც მგონია, ეს რომ გამართლდეს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ვაი თუ მეფე დააჯერონ და მის საუბედურო საქმეს ხელი მოაკიდებიონ. მე იმედი მაქვს ორის მღვდელ-მთავრისა—გენათელისა და ქუთათელისა, რომლებიც სრულიად არ ეთანხმებიან თავად-აზნაურობას, არ სცდილობენ მეფის აღელვებას და მუდამ ურჩევენ მეფეს, რათა ერიდოს უბრალოდ ჯარისა და ხალხის სისხლის ღვრას. მე სრული იმედი მაქვს ამ ორის სასულიერო კაცისა და თ. ზურაბ წერეთლისა, რომლებიც მაშინვე მაცნობებენ მეფის ბოროტგანზრახულებას და ყოვლად მოწყალე ღმერთი იქნება მცველი და მფარველი ჩვენის ჯარისა. უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურობისა და მთელი ხალხი იმიტომ უფრო ურჩევს მეფეს გამაგრებას და რუსეთის მართებლობის წინააღმდეგობას, რომ მეფე ამ გზობით ყოველ გვარ მათს მოთხოვნილებას და სურვილს ასრულებს. გარდა ამისა, ისიც სახეში აქვთ, რომ, თუ მეფე სოლომონმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, მაშინ მეფეს მეტი ძალა და შეძლება ექნება და თავად-აზნაურობას თავისუფლად ნავარდობას, ძარცვა-გლეჯვას-კი ფრთები შეეკვეცება. ყველამ იცის, რომ თვითოეული თავადი ანუ აზნაური მაშინ სამართლიანად იქმნება დასჯილი კაცის მოკვლის ან გაგლეჯისათვის და დღეს-კი ამ გვარი მოქმედება ვაჟკაცობაში ჩასათვლელია მათთვის... ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ თავად-აზნაურობა ამაგრებს თავის მეფეს და ქვეშევრდომობის წინააღმდეგ ამოქმედებს.

მე გავგზავნე მეფესთან ჩემთან მყოფი თ. დავით ფალავანდიშვილი, თან ძღვნად მეფეს მიმინო გავუგზავნე. ფალავანდიშვილს საიდუმლოდ უნდა შეეტყო სასახლის ამბები და, თუ ვინმე ჰკითხავდა მოსვლის მიზეზს, ეპასუხა: თ. ორბელიანმა მეფეს მიმინო აახლა ჩემის ხელით და ამისთვის მოვედიო... ფალავანდიშვილმა მშვენიერად შეასრულა ეს მინდობილება. მეფეს მიმინო მიჰგვარა და მეკი ის ამბავი მომიტანა, რომ მეფე სოლომონი დიდად განრისხებულია თქვენის წერილის გამო, რომლითაც მთელს იმერეთის ხალხს და თავად-აზნაურობას მიჰმართეთო. სასახლეში ბევრი ჩემი ნაცნობი და ნათესავი თავად-აზნაური ვნახეო, მიამბო- ფალავანდიშვილმა, რომლებმაც დამარწმუნეს, რომ მეფეს თქვენის ჯარის დაცემა ტყვილა აზრადაც არ მოჰსვლიაო. ხალხი და თავად-აზნაურობა იმ აზრით შეკრიბა, რომ ყველას გულახდით გამოეთქვა მეფის წინაშე თავისი აზრი იმ წერილის შესახებ და თან ეთქვათ, გსურთ თუ არა ჩემი თავი მეფედ და პატრონად იმერეთშიო? აი, ამ აზრით არის შეკრებილი მეფის სასახლეში ხალხი და არა ქუთაისში მყოფ რუსის ჯარის დასაცემადაო, გადმომცა თ. ფალავანდიშვილმა. მე სრულიად დავრწმუნდი, რომ ეს მართალია და ამისთვის, დღეს თუ ხვალ, მიმყავს აქედგან ორი როტა ჯარი და რედუტკალეში მივეშურები, სადაც ნაბრძანები მაქვს კუნუკების სიკვდილით დასჯა“... *)

ამ წერილმა გენ. ტორმასოვი ძლიერ გააჯავრა. იმ წამსვე გამოუგზავნა თ. ორბელიანს პასუხი; ტორმასოვი პირ-და-პირ უთვლიდა თ. ორბელიანს, რომ შენ მეფე სოლომონის

---

*) რაპორტი გენ.-მ. თ. ორბელიანისა გენერ. ტორმასოვთან 12 ივნ. 1809 წ. № 10, ქ. ქუთაისი.

მოედანსა, ბულვარებისა და რედაქციების წინ დიდძალმა ხალხმა მანიფესტაციები გამართა ნაციონალისტების გამარჯვების გამო. პოლიციელთა ძლიერი რაზმები და რესპუბლიკის ცხენოსანი გვარდია წეს-რიგს იცავდნენ.

ლიონი. ახლად აარჩიეს საზღვაო მინისტრი ლანესანი.

პარიჟი. სადამოს აარჩიეს ზემო გარონასა, დეპარტამენტსა, ენსა და ჟირონდში: ბემალი, კავენიაკი, ბოდენი და დეკრე. პარიზში აარჩიეს სამინისტროს მოწინააღმდეგე ნაციონალისტი ბენუა წინააღმდეგ რესპუბლიკელის ბერტელოსი; ნაციონალისტი სიველტონი აარჩიეს 7,391 ხმით წინააღმდეგ მეზურერისა, რომელსაც ამოუვიდა 5,625 კენჭი; სამინისტროს კანდიდატმა ბრისონმა მიიღო 5,378 ხმა, ხოლო სამინისტროს წინააღმდეგმა კანდიდატმა ნაციონალისტმა ტურნადმა მიიღო 4,258.

პარიჟი. არჩეულ იქმნენ წინანდელი დეპუტატი სოციალისტები: სამინისტროს მომხრე სემბა და დამოუკიდებელი სოციალისტები ვალიანი და დეჟანტი. — სამინისტროს მომხრე კალენი აარჩიეს 9,583 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ დრიუმონისა.

პეტერბურგი. აღდგომის ღამეს საზამთრო სასახლეში წირვაზე მიბრძანდა ხელმწიფე იმპერატორი სახლობითურთ.

პარიჟი. სამინისტროს კანდიდატთა შორის არჩეულ იქმნენ: დიუჟარდენ, ბომეც, ანრი, მარე, არენ, ჟანკორ, ლეფეველ, კიეტო, კლოც, ტრუელ და შოტან; ოპოზიციის კანდიდატთა შორის: ლუი ბასსი, დეგრანმერონ, დებროლი და ჟერარი. ბულვარებზე სადამოს 10 საათზე დიდი მოძრაობა იყო. მანიფესტანტთა ჯგუფები დაღიოდნენ. 11 საათზე აქა-იქ პატარა ჩხუბიც მოხდა. პროვინციაში არჩეულ იქმნენ: ჟირონდში დიუპუი, (მინისტრის შვილი), ლანგედოკში — ნაციონალისტი ჟაკეი, ლილში — რადიკალი ლიუტტი, ნოჟანში — როტურ, პალატის პრეზიდენტი დეშანელი, პადეკალეში — პროკრ. რიბო, ლანდში — კონსერვატორი გრაფი კასტელა, ენში — დუმე, რონში — ენარ, მელინი, სარტში — მინისტრი კაიო, დეტურნელი (რესპუბლიკანელი), აბბატი ლემირ გერო; ლაკარონში მინისტრი ლეიგი, უარნში — ჟორესი, მეცში — რესპუბლიკელი პუანკარრე, ქვემო-ლუარაში — დელიონ (ნაციონალისტი), არიეჟში — მინისტრი დელკასე, კოტ-დიუნორში — რადიკალი ლეტრადეკი და ბურჟუა. პროვინციაშივე არჩეულ იქმნა რესპუბლიკელი სოციალისტი პელტანი. არჩეულია: კონსერვატორი — 30, ნაციონალისტი — 31, სამინისტროს მოწინააღმდეგე რესპუბლიკელი — 48, რესპუბლიკელი — 50, რადიკალი — 36, რადიკალ-სოციალისტი — 27, სოციალისტი 1. 110-ს ხელმეორედ უყარეს კენჭი; სულ 333.

პარიჟი. პროვინციაში აარჩიეს: ქვემო პირენეებში — ბარტუ, (რესპუბლიკანელი), ვოგეზში, — ბუშე, (რესპუბლიკანელი), ჩრდილოეთში — ბასლი, (სოციალისტი).

პარიჟი. გუშინ სადამოს რამდენიმე მანიფესტაცია მოხდა, აქა-იქ ჩხუბიც იყო. ბევრნი დაატუსაღეს, მაგრამ შემდეგ ყველანი გაანთავისუფლეს.

პარიჟი. არჩეულ სამინისტროს მომხრეთა შორის არიან: გიუიო, დესსე, დეშენო, შორლო, ფურნიე, ბიშოფსჰეიმი, ბერტო, ვუასსერი, გუსა და სარიენი. სამინისტროს მოწინააღმდეგეთა შორის არიან: ჟიულ გოშ, დესაჟინიაკ, ფვენელონ, დე-ლა-ბურბონე, ჟიულიენი, გუჟონი, კამილ-ფუკე; დე-კასსანიაკი დამარცხდა, იმის ადგილას გამარჯვა რადიკალმა მოლენმა.

პარიჟი. გაზეთები ყველანი თავის დასების გამარჯვებას აცხადებენ. ნაციონალისტებს მეტად უხარიანთ მეზურერის დამარცხება და ბრისსონისა, მილიერანისა და ვივიანის ხელ-მეორედ კენჭის ყრა. მთავრობის მომხრეთ ის უხარიანთ, რომ რეაქციონურ დასთა შეერთებული მოქმედება ვერას გახდა. თუ რამ ცვლილება მოხდა, ისიც იმათ სასარგებლოთ არა, ამასთან იმათი მეთაურნი პიუ, ემბერი და კასსანიაკი ხელ-ახლად აღარ იქმნენ არჩეულნი. სოციალისტთა და რადიკალთა გაზეთები სიამოვნებას აცხადებენ იმის გამო, რომ არჩევანის დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. ეს დღე დიდ პატივსა სდებს საერთო საარჩევნო ხმის სისტემას.

პარიჟი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დილის $6^1/_2$ საათზე გამოაცხადა, რომ არჩეულნი არიან 566, ამათში სამინისტროს მომხრე — 242-აა, ოპოზიციისა — 151, ხელ-მეორედ ასარჩევია — 173.

პარიჟი. გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა. ზოგიერთი გაზეთების სიტყვით, სამინისტრო დამარცხდა არჩევნებში. პალატის უმრავლესობა სერიოზულად შეიცვალა. ზოგიერთი გაზეთები კიდევ აღნიშნავენ იმას, რომ სულ სხვა-და-სხვა შედეგი ჰქონდა არჩევნებს პარიზსა და პროვინციაში. პარიზში გაიმარჯვა ცეზარიზმმა, ხოლო პროვინციაში რესპუბლიკელებმა. პროვინციაში ნაციონალიზმი მოისპო. უკანასკნელ გამოანგარიშებიდან სჩანს, რომ რესპუბლიკელებმა შეიძინეს 50 ადგილი.

16 აპრილი.

პეტერბურგი. სიამას ქალაქი ბანკოკი და ქალაქი მანილა თავის პროვინციით 14 აპრილიდან საშიშ ადგილებად არიან ცნობილნი ხოლერის გამო.

პარიჟი. 173-თაგან, რომელთაც ხელ-მეორედ კენჭი უყარეს, სამინისტროს მომხრეა 122, მოწინააღმდეგე 51.

რომი. ცანარდელიმ გამოაცხადა პალატაში, რომ სამხედრო მინისტრის თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ მეფემ შეიწყნარა.

პარიჟი. გამოცხადებულია 572 დეპუტატის არჩევის სია; ამათგან 243 სამინისტროს მომხრეა, 158 — მოწინააღმდეგე, ხოლო 171-მა ხელ-ახლად უნდა იყაროს კენჭი.

პიტსბურგი. სტატს-სეკრეტარმა შოუმ ნადიმზედ წარმოსთქვა: „შეერთებულ შტატებმა უნდა თვალ-ყური ადევნონ მარტო თავის სახლ-კარს კი არა, არამედ აზიის მთელ აღმოსავლეთ მხარესა და დიდ ოკეანესაც. სიმდიდრე, ენერგია, გავაისა და ფილიპეს კუნძულების მფლობელობა, პანამას არხი და მთელს დედამიწაზედ უდიდესი სავაჭრო ფლოტი — ყველა ესენი საშუალებას აძლევენ ამერიკას გაბატონდეს დიდ ოკეანეში, სადაც დღეს ინგლისის ფლოტი ბატონობს“.

პარიჟი. „ჰავასის სააგენტოს“ ანგარიშით არჩეულია: 47 კონსერვატორი, 42 ნაციონალისტი, 81 — რესპუბლიკელ-ოპოზიციონისტი, 81 — მთავრობის მომხრე რესპუბლიკელი, 68 — რადიკალი, 49 — რადიკალ-სოციალისტი, 24 — სოციალისტი. ხელ-ახლად უნდა იყაროს კენჭი 177 კაცმა.

პარიჟი. სამინისტროს ანგარიშით სულ არჩეულია 412 დეპუტატი: 246 სამინისტროს მომხრე და 166 — მოწინააღმდეგე.

პეტერბურგი. 14 აპრილს ხელმწიფე იმპერატორსა და დედოფალ იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორის ასულს მიულოცეს საკუთარის კანვოის აფიცრებმა, სასახლის სამღვდელოებამ და ქალაქის უფროსმა, 15 აპრილს — მისის უდიდებულესობის ულანის რაზმის აფიცრებმა და გვარდიის რაზმთა ჯარის-კაცებმა.

14 აპრილს დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს მიულოცეს კავალერგარდისა და კირასირის რაზმთა აფიცრებმა.

16 აპრილს ხელმწიფე იმპერატორსა და დედოფალს იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს მიულოცეს პეტერბურგელ მწვალებელთა წარმომადგენლებმა, პეტერბურგის გუბერნიის ვოლოსტების მამასახლისებმა და მოსკოველ მწვალებელთა რწმუნებულებმა.

კამიშლოვი. სამაზრო ერობა ჰმართავს საზაფხულოდ სოფლებში თავ-შესაფარებს ბავშვთათვის.

სოხუმი. დღეს გახსნილ იქმნა საავადმყოფო შემოწირულებით აგებული. საავადმყოფო სამაგალითოდ არის მოწყობილი და შეიცავს 60 ავადმყოფის ადგილს.

ლონდონი. „Daily Telegraph“-ს ატყობინებენ პრეტორიიდგან, რომ უტრეხისა და ვრეიგეიდის ბურთა რაზმები, ლუი ბოტას და სხვა წინამძღოლთა თანადასწრებით, სათათბიროთ შეკრებილნი. თათბირზედ გამოირკვა, რომ ზავს ძლიერ არიან მოწადინებულნი. თათბირს ინგლისის ჯარმა ხელი არ შეუშალა. დროებით ზავს, ამ კუთხეში დადებულს, ვადა გასდის.

პეტერბურგი. საფრანგეთის პრეზიდენტის მოსვლისთვის საიმპერატორო ფაიფურის ქარხანაში მზადდება საუცხოვო ვაზა.

17 აპრილი.

შემახა. ბაქოს გუბერნატორს გენერ.-მაიორს ოლინცევს განზრახვა აქვს საზაფხულოდ ჩვეულებრივად ქ. კუბაში ცხოვრების ნაცვლად შემახაში იცხოვროს, რომ დაზარალებულ ქალაქის საქმეში ადრე და მალე როდისმე მოაწყოს.

კიშინევი. ფრინველთა მომშენებელმა საზოგადოებამ მესამე გამოფენა გახსნა.

პეტერბურგი. მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი პეტერბურგიდგან წავიდა.

შესახებ დიდი სისუსტე და გამოუცდელობა გამოიჩინეთ. ნუ-თუ შესაძლებელია, თქვენო ბრწყინვალებავ, სწერდა გენ. ტორმასოვი ორბელიანს, რომ ამდენს ხანს მეფესთან ხართ და ერთი გადაწყვეტილი პასუხი მეფისგან ვერ მიიღეთ?!.. მაგრამ ეს სულ თქვენის სისუსტისა და მოუხერხებლობის ბრალია. ან-და კიდევ როგორ უნდა დავიჯერო, რომ იმერეთის მეფეს ამ გზობისათ ხუთი ან ექვსი ათასი ჯარი ჰყავდეს. ამოდენა ჯარს ხომ რჩენა უნდა და მეფეს-კი საზრდო სად მოეძებნება. თუ გარეულ მხეცებივით ტყეში ჰყავს დამალული და გარეულის ხილით არჩენს — ამისი რა მოგახსენოთ. ამასთან ისიც ძლიერ მაკვირვებს, რომ ჩემს წერილს თავად-აზნაურებისადმი ასე უმოქმედნია. ალბად ისე ვერ გადაეცით იმის შინაარსი, როგორც სასურველი იყო. ეს იქიდგანაც სჩანს, რომ ამ საქმეში და არც მეფესთან დაახლოვების საქმეშიაც სრულებით თ. ზურაბ წერეთელი არ დაგიხმარებიათ, რითაც ძლიერ ბევრი დაგიკარგავთ, რადგან ის წერილი თავდაპირველად სულ თ. ზურაბ წერეთლის ჩაგონებით და რჩევით იყო ჩემმიერ შედგენილი. ერთი სიტყვით, პირველი და უკანასკნელი ეს წერილი იქნება. მიიღებთ თუ არა ამ წერილს ჩემგან, მიდით მეფესთან და გადაჰკრით ჰკითხეთ: ჰსურს თუ არა პეტერბურგში დეპუტაციის გაგზავნა? თუ უარი გითხრას — მაშინვე გაბრუნდით, ყოველ გვარი კავშირი, მიწერ-მოწერა შესწყვიტეთ და დაუყოვნებლივ მაცნობეთ. შემდეგ სულ სხვა ღონისძიებას მივიღებთ.

თეოფილე ხუსკივაძე.

(შემდეგი იქნება)

პეტერბურგის ბირჟა, 16 აპრილი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,20	
ბერლინში 100 მარკაში	—	
პარიჟში 100 ფრანკში	—	
ლონდონში ჩეკები	94,90	
ბერლინში ,,	46,30	
პარიჟში ,,	—	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^5/_8$	მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—	
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	470	გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358	წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$304^1/_2$	გაყიდ.
$4^1/_2$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—	
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—	
აქციები ,,	536	გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	—	
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	455	წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	196	„
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—	

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ — პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათო ით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

ქუთაისიდგან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2) — შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდგან შორაპნამდე — გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

ქუთაისიდგან ბათუმში:

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადება

„GRAND PRIX“ PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К-о

„Кремъ-Ралле, Лучшій Кольдъ-Кремъ“.

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდონრინი“ მ. ვ. ლეჟავისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—4)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა

ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საყმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა		„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1	40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ		„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ.	„
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.		„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოელისა.		„ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა		„ 50
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი		,, 15
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა		,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი		,, 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა		,, 30
აბო ტფილელი, ე. გ.		,, 3
Або Тифлисскій, Е. К.		,. 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ		,, 60
გიორგი და მიხეილი		,, 10
Древній Анчисхатскій соборъ.		
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანის		,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის		,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძის	1	,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის.		
Царица Тамара, М. Джанашвили		,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარლის		,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილის	1	,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова		,, 50
Карбеловъ		,, 20
დედა, ანდერსენის		,, 8
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1	,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი		,, 2
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.		,, 1
Давидъ Гареджели, Е. К.		,, 1
ეტიუდები, თ. ხუსკივაძის		,, 1
ელენე, მოთხრობა		,,
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили		,, 4
Назрѣвшій вопросъ, Е. К.		,, 2
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლის		,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ.		,, 3
ამბავი მადლის ქვის		,, 5
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.		,, 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ.	,, 50
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი		,, 40
ბენია.		,, 10
ბუნების სოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა		,, 15
ბაში-აჩუკი, აკაკისა.		,, 30
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის	1 მ.	,, 3
გლეხი-კაცის ისტორია, III-IV ტ.	1 მ.	,, 2
აღმზრდელი, აკაკისა		,, 5
გასართობი		,, 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა		,, 15
გუსტავ ვაზა		,,
პატარა ლორდის თავგადასავალი		,, 30
პატრა ვეფხვის ტყაოსანი.		,, 25
რამს განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა		,, 40
სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა		,, 1
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა.		,, 60
აერო დღესასწაული		,, 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р.	,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა.	3	,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К		,, 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.	
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა		,, 40
თამარ-დედოფლის სამკაული		,, 10
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა		,, 50
ისტორია ქართულ სტამბებისა		,, 15
იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა		,, 40
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძისა		,, 60
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1	,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა		,, 3
საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა.		,, 5
სუმბული, ს. ქვარიანისა.		,, 2
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა		,, 5
უკვდავთა ღაღადებანი, მ. ჯანაშვილისა		,, 1
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა		,, 5
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა		,, 2
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა		,, 4
ქეთო და სონა, საყმაწვილო მოთხრობა		,,
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა		,, 2
კოპერნიკიდან დარვინამდე		,, 1

ამხ. „პერეირეპი და კამენმახერი“

დირს-ქმნილი თვისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის

საიუბილეო გამოფენის **მედალისა**

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) უწყ ყველას, რომ მიხეილის და ნემეცების ქუჩის კუთხეში, სლიეპცის სახლში გამართა

სტამბა და სახაზავი,

რომელნიც მოწყობილი ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილების თანახმად და ამიტომ შეუძლ ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შესრულოს ყოველ ევროპიულის ებზედ

კოხტად, სწრაფად და იაფად

23 მარტიდგან სტამბის კანტორა [illegible] ყოველ-დღე. სტამბაზედ მომრეობით [illegible] ნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, „პერეირეპის და კამენმახერის“ [illegible] გობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან [illegible] ღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852.

(25—309—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ 17 апр. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.